ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

27 (10014) • 8 ivlisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ, ერთად ვიყოთ და გადაწყვეტილება მივიღოთ ჯანსაღი“

ინტერვიუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძესთან.

მარი კოძოევი

—მოგვიყევით თქვენს მიერ დღემდე განვლილი გზის შესახებ...

—დავიბადე 1961 წლის 20 თებერვალს, სოფელ ჭანიეთში.

დავამთავრე ეგნეტე ნინოშვილის სახელობის №1 სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1982 წელს დავამთავრე ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. შემდეგ მუშაობა დავიწყე ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოში ჯერ ცვლის ოსტატად ერთი წლის შემდეგ ქარხნების ტექნიკურ ხელმძღვანელად. 1987 წელს მუშაობა დავიწყე ოზურგეთის კომკავშირის რაიკომის სპორტისა და მასობრივი აღზრდის განყოფილების უფროსად. 1989 წელს შეიქმნა გურია-აჭარის სასაქონლო ესპერტიზის ბიურო და დავინიშნე მის უფროსად. იქ ვიმუშავე 1995 წლამდე. ამავე წელს შეიქმნა ოზურგეთის სავაჭრო პალატა სადაც დავინიშნე აღმასრულებელ დირექტორად. 2004 წელს მუშაობა დავიწყე შ.პ.ს. ასკანაში ქარხნების უფროსად. 2007 წელს გადავედი სამუშოდ შ.პ.ს. „გეომაგნინვესპრომში“, რომელიც კერამიკულ ნაწარმს უშვებს, წარმოების უფროსად.. ერთი წელია რაც გადმოვედი ოზურგეთის კულტურის ცენტრში, ვიყავი ფოლკლორული ანსამბლების კოორდინატორი. ჩამოვაყალიბე სალოტბარო სტუდია,—ოთხწლიანი სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავართ. ამავე დროს ვიყავი ანსამბლ „შვიდკაცას" წევრი.

2010 წელს თანასოფლელებმა ამირჩიეს მაჟორიტარ დეპუტატად ოზურგეთის საკრებულოში.

—რატომ გადაწყვიტეთ კენჭი გეყარათ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე?

—შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ბატონი ალეკო მამეშვილი გადადგა. გაჩნდა ვაკანსია საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე. თავი წარმოადგინა ბატონმა დიმიტრი კვერღელიძემ, რომელმაც მოითხოვა ჩვენგან მხარდაჭერა. დეპუტატებს შორის, საკრებულოში გაჩნდა მოსაზრება, რომ უნდა ყოფილიყო ალტერნატიული კანდიდატები. მარტო ჩემი კანდიდატურა არ სახელდებოდა, კიდევ ორმა-სამმა გვარმა გაიჟღერა. საბოლოო ჯამში კოლეგების, მეგობრების, ახლობლების რეკომენდაციით გადავწყვიტე კენჭი მეყარა.

—რეკომენდაცია გამგებელმა, კოტე შარაშენიძემაც ხომ არ გაგიწიათ?

—მეუბნებიან კოტე შარაშენიძის კადრი ბრძანდებითო. მე პირიქით მინდა საზოგადოებას გავახსენო, —როცა არჩევნები დამთავრდა და „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, საკრებულოს უმრავლესობამ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უმრავლესობა დაშლილიყო და ყველას ერთად მიგველო ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობა.

შევქმენით ფრაქცია „ერთობა.“ ამის მერე დღის წესრიგში დადგა საკითხი დანიშნულიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. აქაც განიხილებოდა რამდენიმე კანდიდატი. მაშინ ჩვენმა დეპუტატმა, ზვიად კვაჭანტირაძემ ცალსახად დაუჭირა მხარი კოტეს კანდიდატურას. ჩვენც ერთხმად დავუჭირეთ მხარი. მაშინ 32 დეპუტატი ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, აქედან 30-მა დაუჭირა მხარი. ასე, რომ, ვაცხადებ, ბატონი კოტეს კანდიდატურა იყო საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი. ახლა, როცა ბატონმა კოტემ და დავით დარჩიამ გაიგეს, რომ შესაძლებელი იყო დამდგარიყო ჩემი კანდიდატურა კენჭისყრაზე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგები არ წასულან.

—ესე იგი თქვენ და კოტე შარაშენიძეს ერთმანეთთან თანამშრომლობა არ გაგიჭირდებათ.

—რა თქმა უნდა. მზად ვართ ვითანამშრომლოთ. საზოგადოებას არ აინტერესებს ვინ პოზიციაშია და ვინ ოპოზიციაში. საზოგადოებას აინტერესებს შედეგი, საქმე და ამ საქმეს ერთად დგომა გააკეთებს. ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ, ერთად ვიყოთ და გადაწყვეტილება მივიღოთ ჯანსაღი. ასე საქმეც გაკეთდება და საზოგადოებაც კმაყოფილი გვეყოლება.

—სანამ საკრებულოს თავმჯდომარე გახდებოდით ჭანიეთის დეპუტატი იყავით, რა გააკეთეთ თქვენი სოფლისთვის?

—ჩემზე ამბობენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყოო. არასდროს „ნაციონალების“ წევრი არ ვყოფილვარ. არცერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. არც ვაპირებ არც-

▶▶▶ გვ-2

პრემიერ-მინისტრი ხელისუფლების და უმცირესობის წარმომადგენლებს შეხვდა

6 ივლისს, ურეკში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში ხელისუფლებისა და უმცირესობის შეხვედრა შედგა.

უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნაზე.

მისი თქმით, კომისიაში წარმოდგენილი იქნება ნაციონალური მოძრაობა, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა, სხვა პარტიები, არსამთავრობო სექტორი, ექსპერტები. კომისია აქტიურად იმუშავებს ოპტიმალური საკონსტიტუციო მოდელის შემუშავებაში.

აღნიშნა ისიც, რომ შეხვედრაზე ისაუბრეს ნაციონალური მოძრაობის შემომწირველების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე და ხელისუფლებისაგან მიიღო დაპირება, რომ დევნა შეწყდება.

ბაქრაძის ინფორმაციით, ის რეკომენდაციას გაუწევს თანაგუნდელებს, შეწყვიტონ ბოიკოტირება და პარლამენტმა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს მუშაობა.

— „რა თქმა უნდა ჩვენი შეხედულებები ფუნდამენტურად განსხვავდება, და ეს შეხვედრაზეც გამოჩნდა, მაგრამ ფაქტი, რომ შეხვედრა შედგა, პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს,“ — განაცხადა მან.

ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი

გაზეთი ალიონი

მეოთხედ ჩატარდა დიდი მამულიშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი ქორეოგრაფის, გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი. ეს ფესტივალი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ბატონ გიორგის დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

გიორგი სალუქვაძე პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსი იყო. იგი ბჟუჟესის მშენებლობის უფროსი და შემდეგ ამ ელექტროსადგურის დირექტორი იყო. ამ დარგში დამსახურებისათვის მას საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება მიენიჭა.

გიორგი სალუქვაძემ დააარსა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სკოლა, აღადგინა ძველი გურული საკრავი სიონარი, დავიწყებას გამოსტაცა ათამდე უძველესი ცეკვა, რისთვისას იმოგზაურა საინგილოში, მესხეთ-ჯავახეთში და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შესანიშნავი მოგონებები დაგვიტოვა. მან არა მარტო აღადგინა, თვითონაც შექმნა და ყოველი მათგანი ქართული ფოლკლორის მარგალიტად ითვლება.

1946 წელს მან პირველმა დადგა მასიური „ფარიკაობა“, ასევე აღადგინა ცეკვები „კალმახობა,“„ინგილოურ-ფერეიდანური „შიპრობა,“აჭარული „სეირი“და „ხელტარის ნადი,“ მესხურ-ჯავახური „იდუმალა,“მესხური „ფერხული დიდება,“ „ვარძიაობა,“ მძიმური.“

50 წლის წინათ ბატონმა გიორგიმ

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

8 ივლისი	9 ივლისი	10 ივლისი	11 ივლისი	12 ივლისი	13 ივლისი	14 ივლისი
ხანმოკლე წვიმა +20+26	ღრუბელი +19+26	ღრუბელი +9+27	ხანმოკლე წვიმა +19+26	ხანმოკლე წვიმა +20+26	მზე, ღრუბელი +18+25	მზე, +21+27
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ, ერთად ვიყოთ და გადაწყვეტილება მივიღოთ ჯანსაღი“

ერთ პარტიაში შესვლას–ამას ვაცხადებ ხმამაღლა. იმდროინდელმა ხელისუფლებამ მითხრა შენნაირი ადამიანები ჭირდება დღეს ქვეყანას და გვერდზე დაგვიდექით. მაშინ კანონმდებლობით კანდიდატების დასახელება შეეძლო მხოლოდ პარტიებს და დამოუკიდებლად ამის გაკეთებას ვერ შევძლებდი. უყოყმანოდ მივიღე გადაწყვეტილება. ვიყარე კენჭი და გავხდი დეპუტატი.

თავის ქება გამომივა მაგრამ თუ სოფელში მიხვალთ და იკითხავთ ნახავთ, თუ კი რამის გაკეთება შეიძლებოდა ყველაფერი გავაკეთე. მოვაგვარეთ გამრიცხველიანების საკითხი. შევიყვანეთ გაზი. მოხერხდა ნახევარი სოფლის გაზიფიცირება...

–ამას კერძო კომპანია აკეთებს.

–დიახ, მაგრამ ამაზე იმოქმედა ჩემმა აქტიურობამ, თხოვნამ, პიროვნულმა ურთიერთობებმა, მონდომებამ. დავარწმუნეთ კერძო კომპანია, რომ სოფელი იყო გადახდის უნარიანი. გადაწყვიტეს, რომ პროექტი იქნებოდა მომგებიანი და ჭანიეთში უნდა შემოსულიყვნენ. ერთ-ერთი რაც ყველაზე მეტად მეამყება, საუკუნეების განმავლობაში იყო სურვილი აჭარასა და გურიას შორის, ქაქუთში, ჩოლოქზე ხიდი გადებულიყო. ჩვენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ასევე შევეხმიანეთ აჭარის ხელისუფლებასაც და ერთობლივი ძალით შევძელით ხიდის აგება, რომელსაც „ჯვარის ხიდი“ ვუწოდეთ.

–თქვენი აზრით, რა არის დღეისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა ოზურგეთში?

–პრობლემა ბევრია. პირველი პრობლემა რა თქმა უნდა არის უმუშევრობა. ასევე არის წყლის პრობლემა, რომელიც ნელ-ნელა გვარდება. ბევრ სოფელში არა არის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. არის ავარიული შენობა-ნაგებობები...

–თქვენი ორკვირიანი მუშაობის შესახებ გვითხარით, რისი გაკეთება მოასწარით, რა საკითხებზე იმუშავეთ?

–შევხვდი აპარატის მუშაკებს, აიპების ხელმძღვანელებს, ჩემს კოლეგებს, საზოგადოების წარმომადგენლებს და დავსახეთ სამომავლო პერსპექტივები. პირველ რიგში გადავწყვიტეთ შეგვექმნა საინფორმაციო ანალიტიკური ბაზა, რომელიც მთელ რიგ საკითხებს მოიცავს, რადგან ზუსტად ვიცოდეთ რა გაგვაჩნია რა პოტენციალია ოზურგეთში. დღეს გამოიცა ბრძანებულება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც კომპეტენტური ადამიანებითაა დაკომპლექტებული. დაახლოებით ახალ წლამდე შეიქმნება ბაზა. მინდა, რომ ოზურგეთში განვითარდეს ტურიზმი, განსაკუთრებით ფოლკლორული ტურიზმი. ფოლკლორული ტურიზმის განვითარება ხალხის შემოდინებას შეუწყობს ხელს, ინფრასტრუქტურა და საოჯახო ტურიზმი განვითარდება, გაჩნდება ინტერესი გურიის მიმართ, ჩვენი მხარის პოპულარიზაციას შეეწყობა ხელი. შემოდგომაზე გიორგი უშიკიშვილის მხარდაჭერით იგეგმება თბილისში გურიის დღეების ჩატარება, სადაც გურიის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას. არის შემოთავაზებები მოხალისეთა ჯგუფი ჩამოვიდეს ვისაც სურს ადგილზე გაეცნოს ხელოვნებას და ისწავლოს გურული სიმღერები.

ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, ნელ-ნელა შევისწავლით ამ პრობლემებს. მე ყველას ვთხოვე, დეპუტატებს, კომისიებს, ფრაქციებს, რომ საკრებულოს მუშობაში რაც შეიძლება აქტიურად ჩაერთონ და საკითხებს მიუდგნენ პასუხისმგებლობით, რომ საკითხები გადავწყვიტოთ ოპტიმალურად. ცათამბჯენებს ვერ ავაშენებთ მაგრამ რაც გვაქვს ბიუჯეტით გათვალისწინებული ის უნდა მოვახმაროთ ხალხს მაქსიმალურად. ორიენტირი ჩემი იქნება, რაც გვაქვს, ის გავანაწილოთ ისე, რომ მაქსიმალურად მივწვდეთ ყველა სფეროს.

–რა შენიშვნები გქონდათ თქვენი წინამორბედის მუშაობასთან დაკავშირებით?

–ამაზე საუბრიდან თავს შევიკავებ, ჩემგან არაკორექტული იქნება. ბატონი ალეკო არის განათლებული, ერუდირებული ადამიანი, რომელთანაც ვმეგობრობდი და ჩემგან ამ თემაზე საუბარი არ არის მიზანშეწონილი. მას დიდ პატივს ვცემ. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადამდგარიყო, ეს მისი პირადი საქმეა. აღვნიშნავ, რომ ზოგიერთების მხრიდან იყო შეურაცხმყოფელი, (წამოძახილებს დავარქმევდი), არაკორექტული ქმედებები, რასაც თავმოყვარე კაცი ვერ აიტანდა და ალბად ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება წასვლის შესახებ. მის ცოდნას და ერუდიციას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რა თქმა უნდა იყო ნაკლოვანებები, რაც მისგან არ გამომდინარეობდა.

–კონკრეტულად რა ნაკლოვანებებზე საუბრობთ?

–მაგალითად რაზეც ღღეს აქტუალურად საუბრობენ–აიპების თემაა. იყო ხელოვნურად გაზრდილი შტატები. მაგრამ დარწმუნებული ვარ ეს მისგან არ გამომდინარეობდა. თვითონ ქვეყანაში იყო ასეთი სიტუაცია. ჩვენთან ყველაფერი ვერტიკალიდან მოდის. თუკი ჩვენ ამის შეცვლას შევძლებთ, ეს იქნება დიდი მიღწევა. ამიტომ რაღაცეები ხდებოდა ალეკოსგან დამოუკიდებლად. ჩვენ შევეცდებით, რაც მიგვაჩნდა ძველი საპრებულოს ნაკლად, გამოვასწოროთ.

–ადმინისტრაციული შენობის წინ მიმდინარეობს აქცია. თუ შეხვდით აქციის მონაწილეებს და საერთოდ, რა ფიქრობთ მათ მოთხოვნებზე?

–ითქვა, საკრებულოს თავმჯდომარემ არ მოინდომა შეხვედრაო. თუ სურვილი ექნებათ აქციის მონაწილეებს ნებისმიერ დროს მზად ვარ დავსხდეთ და ვიმსჯელოთ ნებისმიერ საკითხზე. თუ ექნებათ შენიშვნა, რაც გასათვალისწინებელია გავითვალისწინებთ. მზად ვარ თანამშრომლობისთვის.

თქვენს მოსვლამდე მოვისმინე ქალბატონ ლელა ნაცვალაძის გამონათქვამები. მე მივმართავ მას, ყველას აქვს თავისი აზრი, რომელიც შეუძლია გამოხატოს, მაგრამ როცა პიროვნებას ვეხებით, უნდა ვიყოთ კორექტულები. ჩვენ ხშირად მოგვსვლია კამათი და მითქვამს ვიყოთ პოლიტიკური ოპონენტები, სხვადასხვა აზრის მქონეები, მაგრამ პიროვნული შეურაცხყოფებისგან თავი შევიკავით.

–და ბოლოს, მკითხველს, საზოგადოებას, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, რას ეტყვით, რას ჰპირდებით?

–დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის ეს პოსტი. დაკისრებული მოვალეობისთვის მშვიდ ვითარებაშია ძნელი თავის გართმევა და მითუმეტეს, როცა ასეთი უარყოფითი განწყობაა, ეს ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას. საკრებულოს თავმჯდომარეობა გადავწყვიტე იმ იმედით, რომ გამაჩნია დიდი უნარი ადამიანებთან კომუნიკაციის, ნებისმიერი პრობლების გადაჭრის დროს ჩემი მეთოდი არის დიალოგი. აბსოლუტურად ყველა ომი, ჩხუბი ხელის ჩამორთმევით და შერიგებით მთავრდება. ვპირდები საზოგადოებას, შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვიყენებ, ჩემს ძალას და ენერგიას მოვახმარ იმას, რომ საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, ასჯერ გაზომვით და ერთხელ გაჭრით მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი

გადაურჩინა საზოგადოებას დასაკარგად განწირული ბრწყინვალე ცეკვა „ფუნდუკი“ და ქორეოგრაფიის ერთ-ერთი გვირგვინი „ფერხული-ფარცაკუკუ.“

მისი ინიციატივით ქ. ოზურგეთში უდიდესი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტისა და მომღერლის ფილიმონ ქორიძის ბიუსტი დაიდგა.

ამ ფესტივალზე, რომლის ორგანიზატორი საზოგადოება არტ-გურიაა (ხელმძღვანელი ნოდარ გაგუა), გაცხადდა, რომ დედაქალაქში მოღვაწე ჩვენი თანამოქალაქეები, რომელსაც სათავეში ანზორ ერქომაიშვილი ჩაუდგა, მამა იოანეს ლოცვა-კურთხევით მალე ოზურგეთი ოფიციალურად ფოლკლორის ქალაქად გამოცხადდება.

ფესტივალი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდაპირველად კონცერტები ურეკის კულტურის სახლში გაიმართა. დაახლოებით 40-მდე კოლექტივი მონაწილეობდა ფესტივალში.

5 ივლისს, ფესტიავლში მონაწილე კოლექტივებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მსვლელობა მოაწყვეს ქ. ოზურგეთის ქუჩებში, ხოლო საღამოს გალა კონცერტი გაიმართა.

ფესტივალის ჟიურის ქორეოგრაფი ანზორ გვარამაძე ხელმძღვანელობდა. მასში შედიოდნენ საქართველო-ლიტვას მეგობრობის ცენტრის ხელმძღვანელი მარიანა სლენიენე, ცნობილი ქორეოგრაფები ვაჟა ახვლედიანი, გიორგი გურგენიძე, ახმედ მელია, გიორგი თურქია, მუსიკოსი ვარდო ჯინჭარაძე.

გარდა ქართული ანსამბლებისა, ფესტივალში მონაწილეობდნენ: ქ. ერევნის ქორეოგრაფიული სკოლა „მილენ შოუ ბალეტი“ ჯგუფი „ზოვაშე“; ლიტველი და ბულგარელი ინდივიდუალური შემსრულებლები.

გალა კონცერტმა 4 საათზე მეტ ხანს გასტანა. ჟიურიმ ფესტივალის გრან-პრი აჭარის სახელმწიფო ანსამბლთან არსებულ ბავშვთა სკოლა სტუდია „მწვერვალს“ მიანიჭა. (ხელ-ლი ამირან პაიჭაძე).

6 ივლისს ანსამბლ „ფესვების“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტით ფესტივალი დაიხურა.

რა კითხვებს დასვამდით საზოგადოებრივი დარბაზის შეხვედრაზე?

ნუგზარ ოთარიშვილი

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ შექმნილ საზოგადოებრივი დარბაზის პირველი სხდომა სხვა ფორმატში წარიმართა და იქ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ პრობლემებზე მსჯელობა არ ყოფილა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ქ-ნ მაყვალა ჟღენტთან გაზეთ „ალიონის“ №23-ში დაწყებულ ინტერვიუს ვაგრძელებთ. საუბრის ძირითადი თემა კვლავ ოზურგეთის მინიციპალიტეტის ეკონომიკური პრობლემებია.

– ქ-ნო მაყვალა, რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს ადგილზე, რომ გლეხის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზება მოხდეს?

–რაიონში მოქმედი ბიზნესმენების საქმიანობის გაანალიზება;

პერსპექტივაში იმ ბიზნესმენებისადმი მეტი მხარდაჭერა, რომლებსაც აქვთ სურვილი რაიონის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების;

წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, ან ადგილზე გადასამუშავებლად, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის ქონების გასხვისების კანონიერების დადგენა;

–თქვენ ძველი მეგობრული კავშირების შესახებაც საუბრობდით. რამდენად რეალურია დღეს ამ კავშირებზე ფიქრი?

–იცით, თუ როგორი კავშირები იყო უკრაინის გენიჩესკის რაიონთან, სომხეთის, მაშინდელი ოქტომბერიანის რაიონთან, ასევე ჩვენს აფხაზ მეგობრებთან –ოჩამჩირელებთან. ზუგდიდელებთან ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში. რატომ არ შეიძლება ხერსონის ოლქთან ეკონომიკურ კავშირებზე ფიქრი, გზა ხომ გაკვალულია. ან იქნებ ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუმისა და კონჭკათელების კავშირი სახალხო დიპლომატიით აღვადგინოთ? ამას თუ ეკონომიკური არა, პოლიტიკური მნიშვნელობა ხომ ექნება. ამით ჩვენ მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

–როგორ ფიქრობთ, სწორად იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ობიექტების მშენებლობა?

–ასეთი კითხვა ლაითურის ციხის მშენებლობისას გამიჩნდა. რამდენად მიზანშეწონილი იყო რესპუბლიკური დანიშნულების ობიექტის, დასახელებული ციხის რაიონის ტერიტორიაზე განთავსება. მომავალში არ უნდა დაიგეგმოს ისეთი ობიექტის მშენებლობა, რომელიც არ შედის რაიონის ინტერესებში. ისე, აუცილებელია ყველა იმ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობის გაანალიზება, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ.

–ქალბატონო მაყვალა, მაინც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კაცრებია...

–ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საჯარო მოხელეებს, დასაქმების

▶▶▶ გვ-3

ღია წერილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსს გიორგი ჭყონიას

ისევე როგორც მთელ საქართველოში, გურიაშიც გლეხები დიდი სიხარულით შეხვდნენ მთავრობის საგაზაფხულო პროგრამას, რომელიც სოფლისათვის დიდ თანადგომას გულისხმობდა.

თავდაპირველად ხვნა-თესვის სამუშაოები ქართკახეთში დაიწყო. ჩვენ ტელევიზიით თვალყურს ვადევნებდით, თუ როგორ მოემართებოდა ტექნიკა ჩვენსკენ.

ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის საშუალებით შევიძინეთ მინერალური სასუქი, თოხი, ბარი, ცელი, წალდი და ა.შ.

გურული გლეხობა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის თხილს ინახავს, რომ ხვნა-თესვის სამუშაოები არ დააგვიანოს, მაგრამ რადგან დაპირება იყო აღნიშნულ სამუშაოებზე, შემოეჭამათ შენახული თხილი და ფული.

სამწუხაროდ, გურიაში, კერძოდ თხინვალში საგაზაფხულო სამუშაოები დაგვიანებით ჩატარდა. საბოლოოდ ეს არა საგაზაფხულო, არამედ „საზაფხულო“ ხვნა-თესვა გამოვიდა.

ადრე, დახვნის შემდეგ ფართობს ვაჩერებდით, ორი კვირის ინტერვალით

▶▶▶ გვ-3

ღია წერილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსს გიორგი ჭყონიას

ვთესავდით. ახლა კი, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ოთხი ოპერაცია ჩატარდა, ჩვენთან მხოლოდ დახვნა-დაჩელტვა. (რადგან სათესი აპარატი არ იყო, სიმინდი თავად ყანის მეპატრონეებმა მოაყარაეს (?!). ასეთი გახლდათ შპს „მექანიზატორის“ „საზაფხულო მომსახურება.“

ბატონო გიორგი,

ხართ კი თქვენ საქმის კურსში? ვიცი, სახელმწიფო მაღალ ანაზღაურებას გაძლევთ, მაგრამ ვერ დაინახეთ თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაგეგმილი კარგი საქმე?

ოც წელზე მეტია ქართული სოფელი ნადგურდება. დაანგრიეს ჩაის ფაბრიკები, აღარ იკრიფება ჩაის ფოთოლი, ეკალ-ბარდმა დაფარა ხავერდოვანი ფერდობები და ტურა-მგლის საბუდარად იქცა. მოვლითი სამუშაოების (შეწამვლა, მინერალური სასუქები) ჩაუტარებლობის გამო ნადგურდება ციტრუსების პლანტაციები.

არას ვამბობთ გაჩეხილ თუთის ხეებზე, რაც მეაბრეშუმეობისთვის იყო საჭირო. როგორი მოწონება ჰქონდა დაფნას რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. აღმოსავლეთ ყაზახეთში, სადაც მე წლების უკან ვმუშაობდი, ბაზარში ხშირად ვხდებოდით ქართველებს, რომლებიც იქ დაფნას ჰყიდნენ. დაფნას ყველა სოფელში იბარებდნენ, –ესეც ჩაი ხომ არ არის?

კი, ბატონო ახალმა მთავრობამ მოგვიმატა პენსია, მაგრამ ყველაფერზე ფასები მაღალია.

ამას წინათ ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ოზურგეთის საკრებულომ ერთ ჰექტარ ფართობზე მიწის გადასახადი 73 ლარი დააწესა (?!)

ჩვენ კი არა გადასახადებს, არამედ დახმარებას ვითხოვდით, თუ როგორ ამოვძირკვოთ ჩაის პლანტაციები, როგორ შემოვღობოთ, შემდეგ როგორ დავამუშაოთ. ველოდით ბანკები დაბალპროცენტიან სესხს მოგვცემდა, მაგრამ იქნებ საჩვენებლად ერთი გლეხის გვარი დაგვისახელოთ, ამ სიკეთით რომ ისარგებლა.

იქნებ მოახერხოთ და ჩამოხვიდეთ სოფელ თხინვალში, გაესაუბროთ გლეხებს, იქნებ ურჩიოთ რა კულტურა გააშენონ და რა არა.

ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი გასაჭირი უთხრათ მაჟორიტარ დეპუტატს, გუბერნატორს, გამგებელს და ერთად იფიქროთ ჩვენს ნამდვილ შველაზე და არა ისე, როგორც ეს საგაზაფხულო პროგრამის შემთხვევაში რომ გაკეთდა. ნამდვილად სასიკეთო საქმე სანახევროდაც არ შესრულდა. სიღატაკიდან ამოსვლას წლები დასჭირდება, მაგრამ მთავარია საქმის გულით დაწყება.

შოთა ბოლქვაძე,
პენსიონერი, 82 წლის, სოფ. თხინვალი.

ოზურგეთში პროფესიული კოლეჯი „მასკი“ იხსნება

ოზურგეთში პროფესიული კოლეჯი „მასკის“ პრეზენტაცია გაიმართა.

კოლეჯი, რომელიც მომამზადებს სამედიცინო დარგის III საფეხურის სპეციალისტებს, ოფისის მენეჯერებს, ჟურნალისტებს, ქ. ოზურგეთში ერისთავის ქ. №22-ში არის განთავსებული.

თანამედროვე, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები გაუძღვებიან სწავლის კურს.

–„მასკის“ გახსნის მთავარი მოტივაციაა, მომავალში გურიას ჰქონდეს საკუთარი უნივერსიტეტი –განაცხადა სასწავლებლის დამაარსებელმა, აკადემიკოს გიზო ჭელიძის ვაჟმა, პროფესორმა ლადო ჭელიძემ. სასწავლებელს გიზო ჭელიძის შვილიშვილი ბექა ჭელიძე გაუძღვება.

ვის ეშინია ფემინიზმის – თემატური შეხვედრების სერია

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გენდერული კულტურის, გენდერული დემოკრატიის განვითარებისათვის თემატური შეხვედრების სერიის „ვის ეშინია ფემინიზმის“ პირველი სემინარი-დისკუსია გაიმართა. შეკრებილ საზოგადოებას ლელა გაფრინდაშვილი ესაუბრა XVII–IX-XX საუკუნეების რეალობებზე, როცა არაერთი ქალი შეეცადა დაეშსვრია იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები გენდერულ საკითხებთან მიმართებაში.

– ქალი იბადება არა იმისთვის, რომ ემსახუროს ოჯახს, არამედ იმისთვის, რომ განავითაროს გონება.

თუ ქალმა ვერ დაიჭირა საზოგადოებაში ღირსეული ადგილი, არა იმიტომ, რომ მას ეს არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა გონებრივი განვითარებისათვის, რაც მამაკაცთათვის ეფრო ხელმისაწვდომია – ცნობილია, რომ ამ მოსაზრებით XVIII საუკუნის მოღვაწე ქალი მერი უილსთონკრაფტი ჟან-ჟაკ რუსოს დაუპირისპირდა.

ჯონ სტიუარმილტი, ჰარიეტ ტეილორი, სიმონ დე ბოვუარი... იმ პერიოდში ქალთა უფლებების დასაცავად იღვწოდნენ.

ქალები საქართველოდან, 50 ქალი, რომლებიც ჭნიდა ახალს, ირძოდა ცვლილებებისათვის. მათგან სამი ქალის ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას, საფო მგელაძის, ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა გამომსვლელმა.

შეხვედრის ადგილობრივი კოორდინატორი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“, ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი.

„მოვალთ იმედად ხვალის“

ნინო ნიკოლაიშვილი

სბავშვო ბაღის კედლებს შეფარებული პატარები კიდევ ერთი წლით დაიზარდნენ. მეტიც გაიგეს იმ გარემოზე, სადაც ცხოვრობენ, ხალისობენ, ზოგჯერ ტირიან კიდეც. ტირიან, რადგან უფროსებისგან ყურადღება და მოფერება მოსწონთ და თავადაც საოცრად თბილი ენერგიით ავსებენ გარემოს.

№4 სბავშვო ბაღში მისულ სტუმრებს 2-3 წლიანთა ჯგუფი „ცეროდენა“ მასპინძლობდა. მასწავლებელი ნანა კეკელიძე.

მტარებლის ვაგონებივით ჩაბმულ პაწიებს ნანა მასწავლებელი იმ სამყაროს გზისკენ მიუძღვოდა, რომელიც ნელ-ნელა რეალობად ექცევათ და ისინიც მათი ნაწილნი გახდებიან. პატარებმა იმოგზაურეს ბუნებაში, მიბაძეს ფრინველებს, ცხოველებს, დაკრიფეს სოკოები და ყვავილები, ლექსებიც ოსტატურად წაიკითხეს. – ნინო გუჯაბიძე, ლუკა გორდელაძე, ნინი ბუზალაძე, ანდრია კარსანიძე, ლიკა დოლიძე, ანდრია ჯაფარიძე, მედეა კუტალაძე, შოთიკო მეხუზლა, ოური ტოციკიანი, სბა კეკელიძე, მარიამ დარეჯანაშვილი, მარიამ ბაზალი – ეს ჩემი პატარებია. მათთან მუშაობა დიდ შრომას, ენერგიას და პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაგრამ იმდენად საინტერესო და სასიამოვნოა, რა ენერგიასაც გვართმევენ, ყველას სიყვარულით გვიბრუნებენ, თუ ამ სიყვარულს ვერ ითავისებ, ვერაფრით შესძლებ ამათი გულის მოგებას - აღნიშნა ნანა მასწავლებელმა.

ფაქიზია და მრავალმეტყველი ოთახი, სადაც პატარებს უწეთ ყოფნა, მაგრამ ერთიანი გარემო, უდაოდ მისახედი. **მარიკა ღლონტი,** ბაღის მენეჯერი: – ჩვენი ბაღის რემონტი, ეს ჩვენი ბავშვების, მშობლების, მასწავლებლების ოცნებაა. 280 ბავშვთან ვმუშაობდით, ახლა სამ სააღმზრდელო ჯგუფში 80 აღსაზრდელი გვყავს. შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარება ბაღების გაერთიანების ცენტრი. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის დერეფნების შემინვას შეგვპირდა. დაგვეხმარა ქნი როზა გოგუაძე.

ტიპური შენობა გვაქვს, რომლის კარგად მოწყობა, საუკეთესო პირობებს შეუქმნის ჩვენს ბავშვებს. არაერთი მცდელობა იყო სხვათა შემოსვლისა. დიდი ბრძოლით შეინარჩუნეთ. პრობლემას გვიქმნის შენობის დიდი მინაშენი, გვჭირდება ეზოს სამოედნო სათამაშოები, ინვენტარი, გასაზრდელია მასწავლებელთა ხელფასებიც.

ბაღის მინაშენი ნახევრად დანგრეული შენობა მართლაც მძიმე მდგომარეობას ქმნის. თანდათან ინგრევა და ნადგურდება გამოსაყენებელი საშენი მასალები, რითაც შესაძლებელია ბაღის გარემოს გაუმჯობესება.

ღია კარის დღე №8 საბავშვო ბაღში

ბაღის შერეული ჯგუფის აღსაზრდელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, უკეთესად გამოეხატათ თავიანთი ცოდნა და უფროსებისათვის თავიც მოეწონებინათ. კოსმოსი, პლანეტები, მზე, მთვარე, დედამიწა, საქართველო, გურია, ოზურგეთი, №8 საბავშვო ბაღი, ამ მარშრუტით იმოგზაურეს პატარებმა და თავიანთი შესაძლებლობებიც კარგად წარმოაჩინეს. მერე მუმცროსმა მეგობრებმა სკოლისკენ სავალი გზები დაულოცეს უფროსებს. უფროსებმა კი ბაღში გატარებული ლამაზი წლები გაიხსენეს. ლექსით, სიმღერით, ცეკვით იხალისეს და სტუმრებიც ახალისეს. მეგობარს დათა ქილოფთარს დაბადების დღე მიულოცეს, რომელიც თეთრ ჩოხაში გამოწყობილიყო, მიუხედავად იმისა, თვალი ფერადი ბურთებისკენ გაურბოდა, დამჯერებლად თქვა თავისი სიტყვები და მერე სადღესასწაულო ტორტზე მიიპატიჟა მეგობრები, სტუმრები.

ღია კარის დღეს ესწრებოდა მათი მომავალი მასწავლებელი №3 საჯარო სკოლიდან ლელა ქავთარაძე.

ნათელა ქილოფთარი: №8 ბაღის მენეჯერი: – ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი, იმედი გვაქვს, მეტად იქნება გათვალისწინებული ბაღებში რემონტის ხარჯები, ჩვენ არ გვეშინია პროფესიონალიზმის, ჩვენ გვჭირდება მეტი თანადგომა, რომ ჩვენი ბავშვები უკეთეს პირობებში გვყავდეს. მართალია ბაღების გაერთიანების ცენტრი გვეხმარება, მაგრამ ბაღებში არსებული პრობლემების მოგვარებას მეტი თანხა სჭირდება.

რა კითხვებს დასვამდით საზოგადოებრივი დარბაზის შეხვედრაზე?

მსურველებს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის დაუფლებისათვის.

–საკრებულო მუნიციპალიტეტში შემავალ სამსახურებში დასაქმებულთა ატესტაციას აპირებს...

–ამიტომ ეს რჩევა უნდა გაითვა-ლისწინონ (სურვილის შემთხვევაში)...

–როგორ ფიქრობთ, იმას, რასაც აკეთებს ცენტრალური ხელისუფლება, ინფორმაცია სწორად მიდის ადამიანებამდე?

–კონკრეტულ ფაქტს გეტყვით. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კარგი საჩუქარი გაუკეთა საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროგრამით. მაგრამ მივიღეთ რა: იმის გამო, რომ დროულად არ მიეწოდა მოსახლეობას სწორი ინფორმაცია, ამ კარგი საქმით მადლიერ ადამიანთა რიცხვის გაზრდის ნაცვლად, გაიზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი.

მედიის როლიც უნდა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობის პროცესში. ძოგჯერ საინფორმაციო საშუალებების მიერ სათანადოდ ვერ შუქდება რაიონში მიმდინარე პროცესები.

როგორ ფიქრობთ, მოსწონს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა ოჯახის წევრები, საკუთარი თავმოყვარეობის შელახვის ფასად შორეულ ქვეყნებში არიან გადახვეწილები ლუკმა-პურის შესაძენად, ხოლო ადგილზე დარჩენილები წელებზე ფეხს იდგამენ მის საშოვნელად, პომპეზური ღონისძიებები, რომლებიც პიარზეა გათვლილი და საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება მათ ჩასატარებლად? მესმის, ამას ძირითადად წინა ხელისუფლება აკეთებდა, მაგრამ სჯობს უფრო მეტი ვიფიქროთ საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობაზე. ამით სიდუხჭირეში მყოფ ადამიანებს გაეწევათ მატერიალური და მორალური დახმარებები. ამის დიდი მაგალითი მომღერალ პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული ფონდი „იავნანაა.“

– რა დასკვნას გაუკეთებდით თქვენს რჩევებს?

–ჩემს მიერ დასმულ საკითხებს ამომწურაობის პრეტენზია არ გააჩნია. იგი ძირითადად ეხება რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღებას, ისიც ნაწილობრივ. ზოგიერთი მათგანი ზოგადი ხასიათისაა, არ ითვალისწინებს მათი რეალიზაციის გზებს. შეიძლება ზოგიერთი მათგანი არ შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხებში წვდომა, მათი ახალ რეალობასთან მისადაგება, მაინც შეასრულებს თავის ფუნქციას.

–გმადლობთ.

დრო და ადამიანები

როდესაც ლიხაურის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მაშინ ექთიმე თაყაიშვილის სახელის ხსენება აკრძალული იყო. იგი ქართული განძის გამტაცებლად იყო მონათლული.

ამბობენ „დრო ყველაფრის მკურნალიაო“. დიახ, ეს ნამდვილად ასეა. დრო გადიოდა და ჭეშმარიტება ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდა გზას. ბატონ ექთიმე თაყაიშვილთან მიმართებაში თურმე საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. მწერალმა რეზო თაბუკაშვილმა დოკუმენტური ფილმი შექმნა და დიდი ექთიმე თაყაიშვილი მეჯურჭლეთუხუცესის ეპითეტით შეამკო. აქვე ვაცხადებ, რომ ბატონი ექთიმე მწიგნობართუხუცესის ზედწოდებასაც იმსახურებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გამოიჩინა ინიციატივა და წმინდა სინოდმა სოფ. ლიხაურის მკვიდრი, სპეტაკი პიროვნება, საქართველოს დიდი პატრიოტი, აკადემიკოსი ექთიმე თაყაიშვილი სრულიად სამართლიანდ შარავანდედით შემოსა და ღვთის კაცად, წმინდანად შერაცხა.

დღეს ქართველი ერი უდიდეს ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის. ძნელი გახდა „პური ჩვენი არსობისა“ მოპოვება. ყველას გვიჭირს, მაგრამ ახალგაზრდობის გასაგონად მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ მათ მიერ წაკითხულ და გაზრებულ იქნეს, როგორ ეკონომიკურ სიძნელეებს გაუძლო ემიგრაციაში ყოფნისას მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნებამ ექთიმე თაყაიშვილმა და მარჩენალი თხის რძით ფიზიკურად თავი გადაირჩინა და ეროვნული განძი უკლებლივ სამშობლოში დააბრუნა. აქვე იმასაც ვიტყვი: მას, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ოქროს მონეტა ან რომელიმე ჩვენი ეროვნული განძი უცხოელი კოლექციონერისათვის ან მუზეუმისათვის მიეყიდა, საკმაოდ უზრუნველად იცხოვრებდა. ჩვენდა საბედნიეროდ ექთიმე თაყაიშვილმა საკუთარ სინდისს არ უღალატა და ცხოვრების მოწამეობრივი გზა აირჩია თავის მეუღლესთან ერთად.

დღეს გადაუჭარბებლად, თამამად შეიძლება ექთიმე თაყაიშვილის სახელი ვახსენოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე გამსახურდიას, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა გვერდით.

მადლობა ყველას, ვინც ექთიმე თაყაიშვილს ღვაწლი დაუფასა და ჯეროვანი ადგილი მიუჩინა ქართული ეროვნული კულტურის და მეცნიერების ისტორიაში.

განსაკუთრებით მადლობა იმ ინიციატორებსა და მათ მხარდამჭერებს, რომლებმაც გამონახეს სახსრები და ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში დააარსეს ეროვნულ-ზნეობრივი გმირის, წმიდა ექთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი.

ციალა სალუქვაძე-არობელიძისა,
პენსიონერ დიასახლისი.

ოზურგეთელი მოჭიდავეების წარმატება

საქართველოს თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. იგი გამარჯვებულებს გზას უხსნის მსოფლიო პირველობაზე.

ოზურგეთელთა გუნდი ახალგაზრდული შემადგენლობით გამოვიდა ტურნირზე. ჩვენს გუნდში აღარ არიან ისეთი ტიტულოვანი სპორტსმენები, როგორიცაა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, რევაზ ჭელიძე, ლაშა ლომაძე, რომლებიც აქტიური სპორტიდან წავიდნენ.

თუმცა 4 საპრიზო ადგილი ახალგაზრდული გუნდისთვის ურიგო შედეგი არ არის.

მძიმე წონაში კარგად იასპარეზა ვლადიმერ ქარჩავამ (მწვ. თენგიზ მუჯირი) რომელმაც სამი ბრძოლა მოიგო და ფინალი დათმო თბილისელ არაბულთან.

ამავე წონაში III ადგილზე გამოვიდა სამუკა დარჩია (ალ. ბოლქვაძე).

55 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაო მოიპოვა ალ. ბოლქვაძის კიდევ ერთმა აღზრდილმა გიორგი ლომინაძემ.

96 კგ წონით კატეგორიაში III იყო ბექა როყვა (მწვ. ძმები ზურაბიანები).

ზურაბ ხომერიკი



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ღირსეული პედაგოგი, სანიმუშო კოლეგა, უდიდესი პროფესიონალი, მართვის ხელოვნებით დამშვენებული, კაცად-კაცობის სამშვენი თვისებებით გამორჩეული, განათლების სისტემის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შესანიშნავი ოჯახის მქონე, შრომის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ზურაბ ხომერიკი.

ზურაბის ცხოვრების მიზანი კეთილი საქმის კეთება იყო.

მრავალ თაობათა ღირსეული აღმზრდელი, სიახლეების მაძიებელი, მრავალრიცხოვან პედაგოგიურ კოლექტივთან გვერდით მდგომი, თითოეული მათგანის კეთილღეობისთვის მზრუნველი ბატონი ზურაბი გარშემომყოფთათვის მისაბაძი პიროვნება იყო.

შეუძლებელია იმ სითბოსა და სიყვარულის დავიწყება, რასაც იგი გულით ატარებდა და სხვებსაც უზიარებდა. ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული ნიჭი ჰქონდა, რის გამოც უსაშველოდ წრფელი სიყვარული დაიმსახურა კოლეგებსა და მეგობრებს შორის.

ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ მისი სპეტაკი სულისთვის

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

იყიდება

სოფ. ჭანიეთში (ქაქუთი) ოროთახიანი ხის სახლი. (ზომით 30 კვ.მ). ასევე 100 ცალი ბლოკი. ფასი 550 ლარი. საკონტაქტო ტელეფონი (598) 705 357.

იყიდება

ორსართულიანი ხის სახლი, ეზოთი, სოფ. ნაგომარში. ტელ: 599 11 03 48, (შოთა ახალაძე)

მშვიდობა თქვენდა

ვიცით, რომ ამ წერილის წაკითხვით ტკივილი გაგიახლდებათ, მაგრამ ჩვენი სურვილი აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის გაცოცხლებაა!

გვინდა წიგნი გამოვცეთ იმ ვაჟკაცების შესახებ, რომლებმაც ქართული მიწისათვის საკუთარი სიცოცხლე გაწირეს! ამისთვის ერთმანეთთან კონტაქტი გვჭირდება.

გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან (ან დაგვირეკეთ), მოგვაწოდეთ ბიოგრაფია, სურათი, წიგნი, რომელშიც თქვენი შვილის, ახლობლის შესახებ წერილი იქნება დაბეჭდილი, საჩუქრად მოგართმევთ!

ჩვენ, ამით, მათი სულების უკვდავყოფა გვინდა!

ღმერთს ვებარებოდეთ!

მოკრძალებითა და სიყვარულით, საზოგადოება „თეთრი მანდილის“ თავმჯდომარე, გაზეთ „თეთრი მანდილის“ რედაქტორი

ეთერ ქადეიშვილი.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3; ქალაქის მერია (მეორე სართული).

ტელ.
(593) 32 43 15; 27-41-30.

პირველი სპორტის ოსტატი ოზურგეთიდან

გასული საუკუნის 60-იან წლებში საკავშირო პირველობებზე, სხვადასხვა ტურნირებზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ოზურგეთელმა კლასიკური (ამჟამად ბერძნულ-რომაული) სტილით მოჭიდავეებმა.

ამ თაობის ერთ-ერთი ტიტულოვანი სპორტსმენი რამაზ მორჩილაძეა.

– 1959 წელს ოზურგეთელმა მიხეილ გოგუაძემ ქ. ოზურგეთის №2 საშუალო სკოლის სპორტდარბაზში გახსნა ჭიდაობის სექცია, სადაც სხვებთან ერთად ამ სკოლის მოსწავლე, 14 წლის რამაზ მორჩილაძეც გაერთიანდა.

1960 წელს ოზურგეთის რაიონული გაზეთი წერდა: – „ორი წელია, ქ. მახარაძეში ჩამოყალიბდა კლასიკურ მოჭიდავეთა სექცია, რომელმაც დაინტერესება გამოიწვია რაიონის ახალგაზრდებს შორის. ამჟამად სექციაში 25-მდე კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენია გაერთიანებული, რომლებთანაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მწვრთნელი მიხეილ გოგუაძე...

აღსანიშნავია ქ. მახარაძის №2 საშუალო სკოლის მოსწავლის რამაზ მორჩილაძის წარმატებები. იგი საშუშ მეტოქეს წარმოადგენს მოწინააღმდეგისათვის. არის სწრაფი და ტექნიკური. ამის გამო იყო, რომ მან სუფთა გამარჯვებები მოიპოვა და რესპუბლიკურ პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა.“(გაზ. „ლენინის დროშა,“ 4.XII. 1960 წ. № 145).

„ორი პირველობის ჩემპიონები“ –ამ სათაურით აუწყებდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ ქართველი მოჭიდავეების წარმატებას საკავშირო პირველობაზე.

„ამ დღეებში ბაქოში ჩატარდა ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც 225 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდურ პირველობაში თავიდანვე დაწინაურდა „სპარტაკის,“ „დინამოს“ და „კოლმეურნეს“ ახალგაზრდული კოლექტივები და საპრიზო ადგილებიც ამ თანმიდევრობით განაწილდა.

პირად ჩათვლაში მსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის პირველობა არავის დაუთმო „კოლმეურნის“ წევრმა, მახარაძელმა **რამაზ მორჩილაძემ** –შვიდჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და შვიდივეჯერ გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი.“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“27. VII, 1963 წ. №90). უნდა აღინიშნოს, რომ იმ წელს „კოლმეურნეს“ ახალგაზრდული ნაკრების 10 წევრიდან ხუთი ოზურგეთელი იყო: რ. ვასაძე, გ. ბაქანიძე, დ. ლაღიძე, რ. მორჩილაძე, ა. ლომაძე.

ფაქტობრივად რამაზ მორჩილაძე ყოფილი სსრკ-ს პირველი ჩემპიონი იყო ჭიდაობაში ოზურგეთიდან. ამას მოჰყვა სსრკ სპორტის ოსტატის წოდებაც.

–10 წელი ვიყავი საქართველოს ნაკრების წევრი, მქონდა წარმატებები, მაგრამ პრობლემაც –იგონებს რამაზი, ხელი მივარდებოდა. ერთხელ დათო ლაღიძესთან შეხვედრისას ამომივარდა ხელი. გულშემატკივართა შორის დათოს ძმა ზალიკო იყო (ექიმი გახლდათ). მან ხელი ჩამისვა.

რამაზ მორჩილაძე დიდი სიყვარულით იგონებს თანაგუნდელს, იური სიორიძეს.

–კარგი სპორტსმენი და მეგობარი იყო (ამის შესახებ გაზეთებიც წერდა). წარმატებით გამოდიოდა საკავშირო ტურნირებში. 1964 წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩავირიცხეთ. იური –იურიდიულ ფაკულტეტზე, მე ეკონომიკურზე. ერთად ვცხოვრობდით სტუდქალაქში. მეუღლე და შვილები სოფელში იყვნენ. ქალბატონი ლამარა კონჭკათის კოლმეურეობაში ჩაის კრეფდა და ასე ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბატონი რამაზი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რესტორან „იზაბელას,“ სპორტმაღაზიის დირექტორად. კარგი ოჯახი შექმნა. სამი შვილის მამა და ექვსი შვილიშვილის ბაბუაა.

შვიდ ათეულ წელს მიტანებული დიდი სიყვარულით მოიხსენიებს პირველ მწვრთნელს მიხეილ გოგუაძეს, თანაგუნდელებს, გასული საუკუნის 60-70-ანი წლების ოზურგეთს. მოსაგონარი მართლაც ბევრი აქვს.

ავთო, ნაზი, მარინა, ნინო ნიკოლაიშვილები, ნუგზარ ასათიანები თანაუგრძნობენ ენვერი ინწკირველის ოჯახს დედის **ნინა ინწკირველის** გარდაცვალების გამო.



ქ. ოზურგეთის, უნივერსიტეტის ქუჩის უახლოესი მეზობლები იუწყებიან **გელა დარჩიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე